# ხელშეკრულება №46

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ფოთი 5 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის N5 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. ზაზა ჭურღულიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ნონა ჭაავა, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი ნონა ჭაავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი (CPV44221400; CPV-44111400) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 150,00 (ასორმოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ფოთი, მიქაბერიძის ქ.N5).

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან. ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 5 იანვრის ჩათვლით.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| **შშემსყიდველი:**<br><br>სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის<br>ქალაქ ფოთის №5 საჯარო სკოლა<br>ს/კ 215113419<br>მის: ქ. ფოთი, მიქაბერიძის ქ.N5<br>ტელ:0493 27 52 06<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE89LB0121113404024000<br><br>**დირექტორის მ.შ. ზაზა ჭურღულია**<br><br>_____<br>(ხელმოწერა) ბ.ა | **მიმწოდებელი:**<br><br>ი/მ ნონა ჭაავა<br>ს/კ 62006023581<br>მის.:ფოთი, აგრარული ბაზრის ტერიტორია<br>ტელ.: 599392329<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,, თი ბისი ბანკი“<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა GE08TB7253836010100014<br><br>**ნონა ჭაავა**<br><br>_____<br>(ხელმოწერა) ბ.ა |

**დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა** **05.12.2019 წელი**

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | **დასახელება** | **განზომილების ერთეული** | **რაოდენობა** | **ერთეულის ფასი** | **საერთო** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ემალის საღებავი წითელ-ყავისფერი 2,8ლ | ცალი | 2 | 18,00 | 36,00 |
| 2 | ნათურა 100ვტ | ცალი | 10 | 0,60 | 6,00 |
| 3 | სამუშაო ხელთათმანი წით.დაჟატული 52-66 | ცალი | 1 | 1,50 | 1,50 |
| 4 | კრასკა კოლორი ჯინჯიღა ოქრო 0,150კგ | ცალი | 1 | 8,00 | 8,00 |
| 5 | თავი სახრახნისის | ცალი | 1 | 3,00 | 3,00 |
| 6 | საღებავი ემალი იატაკის მოწითალო დაფსოება 2,5კგ | ცალი | 2 | 12,00 | 12,00 |
| 7 | ფუნჯი N25 | ცალი | 1 | 3,00 | 3,00 |
| 8 | წებო MEGES 200გრ | ცალი | 1 | 3,50 | 3,50 |
| 9 | გამომწვარი მავთული 1 200მმ | კგ | 1,428 | 3,50 | 5,00 |
| 10 | კარის გული | ცალი | 2 | 6,00 | 6,00 |
| 11 | იზოლენტა | ცალი | 2 | 2,00 | 2,00 |
| 12 | ავტ.ამომრთველი EKF 2P63A | ცალი | 1 | 15,00 | 15,00 |
| 13 | თვითმჭრელი დაპრესილი საკისრით ბურღით | ცალი | 20 | 0,05 | 1,00 |
| 14 | სანტექნიკის ვინტილი 25-იანი | ცალი | 1 | 4,00 | 4,00 |
| 15 | თვითმჭრელი ლითონის დაპრესილი თავით წვეტიანი | ცალი | 60 | 0,03 | 1,80 |
| 16 | თვითმჭრელი ლითონის დაპრესილი თავით | ცალი | 50 | 0,05 | 2,50 |
| 17 | 2,03 6*30 ჭანჭიკი | კგ | 0,4 | 8,00 | 3,20 |
| 18 | მუფთა პპრ 20*20 N17 | ცალი | 6 | 0,50 | 3,00 |
| 19 | ეზოს კრანი პლასტმასის ზომით 20 | ცალი | 1 | 4,00 | 4,00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20 | ლურსმანი (თურქული)150*4,5მმ 25კგ | კგ | 0,857 | 3,50 | 3,00 |
| 21 | მუხლი 20*45 N19 | ცალი | 5 | 0,50 | 2,50 |
| 22 | 2,03 6*100 20კგ ჭანჭიკი | კგ | 0,2 | 8,00 | 1,60 |
| 23 | ჭანჭიკი 8*80 | კგ | 0,8 | 8,00 | 2,40 |
| | | | | ჯამი | 150,00 |

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის
ქალაქ ფოთის №5 საჯარო
სკოლის დირექტორის მ.შ. ზ.ჭურღულია

ი/მ ნონა ჭაავა ნ.ჭაავა